პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის, პარტიული და კომკავშირის კომიტეტების, პროფკომისა და ადგილკომის ორგანო

Молодой Сталинели — орган ректората, парткома, профкома, месткома и комитета ЛКСМ Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 7 (69) | გამოცემის მეხამე წელი | შაბათი, 20 თებერვალი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

18 თებერვალს მუშაობა დაამთავრა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობამ.

ყრილობის დელეგატებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო და აირჩიეს საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოები.

გაუმარჯოს ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს — საბჭოთა კავშირის დიად კომუნისტურ პარტიას!

## საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა

16 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა.

დილის 11 საათია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ამხ. ვ. პ. მჟავანაძე** ყრილობას გახსნილად აცხადებს.

ყრილობის დელეგატებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გენიალური დამაარსებლის **ვ. ი. ლენინის** და მისი უკვდავი საქმის დიდი გამგრძობის **ი. ბ. სტალინის** ნათელ ხსოვნას.

ირჩევენ ყრილობის **ხელმძღვანელ ორგანოებს** — საქმიან პრეზიდიუმს, სამანდატო კომისიას, სარედაქციო კომისიასა და სამდივნოს.

ერთხმად დაამტკიცებს **ყრილობის შემდეგი** დღის წესრიგი:

1. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება;
2. საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება;
3. საქართველოს კომპარტიის **ხელმძღვანელი** ორგანოების არჩევნები.

**საანგარიშო** მოხსენებისათვის **სიტყვა** ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. **ვ. პ. მჟავანაძეს.**

შემდეგ **ყრილობამ** მოისმინა **საქართველოს** კომპარტიის სარევიზიო კომისიის **საანგარიშო** მოხსენება. **მოხსენება** გააკეთა ამხ. **ა. დ. გიორგაძემ.**

16 თებერვალს საღამოს **გაიმართა** საქართველოს კომუნისტური პარტიის **XVI** ყრილობის მეორე სხდომა.

იწყება კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ხარევიზიო კომისიის საანგარიშო **მოხსენებათა გამო.**

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები **გ. ა. გეგეშიძე** — საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი, **ა. მ. დავითაშვილი** — საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის მდივანი, **ზ. ვ. კიკნაძე** — საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის მდივანი, **ა. ს. შენგელია** — საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი, **გ. გ. სანაკოევი** — სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, **მ. პ. გიორგაძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი, **მ. ა. მეგრელიშვილი** — საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი.

ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ამხ. **ო. დ. გოცირიძის** მოხსენება.

სამანდატო კომისიის მოხსენება ერთხმად დაამტკიცეს.

17 თებერვალს დილით გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობის მესამე სხდომა.

გრძელდებოდა კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის მოხსენებათა გამო.

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები **მ. დ. ჩუბინიძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, **დ. მ. მამულაძე** — საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, **ნ. გ. გომელაური** — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი, **ა. ვ. უთიაშვილი** — საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის მდივანი, **შ. ს. გოგეიშვილი** — ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, **ი. ბ. აბაშიძე** — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველი მდივანი, **პ. ე. ბაქრაძე** — საქართველოს კომპარტიის ტყიბულის რაიკომის მდივანი, **მ. მ. ლელაშვილი** — სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ-ში, **ა. ლ. გუნია** — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, **ა. ა. ბლრციანი** — საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის მდივანი, **ნ. ლ. ოხინი** — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, **თ. ბ. ჯანელიძე** — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, **ო. ნ. აივაზაშვილი** — ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის კოლმეურნეობის მერგოლური, **ზ. ნ. კეცხოველი** — საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრი, **მ. ე. თოფურიძე** — საქართველოს სსრ პროკურორი.

ყრილობამ აირჩია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო რეზოლუციის პროექტის შემმუშავებელი კომისია.

17 თებერვალს საღამოს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობის მეოთხე სხდომა.

გრძელდებოდა კამათი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები **გ. დ. ჯავახიშვილი** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, **ვ. ლ. ჭანკოტაძე** — საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტის მმართველი, **ნ. ი. მუსხელიშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, **დ. გ. მერაბიშვილი** — წითლის მტს-ის დირექტორი, **მ. ი. კუჭავა** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, **თ. ი. დათაშვილი** — გორის რაიონის სოფელ სკრის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **გ. ს. კიკნაძე** — ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი, **დ. ა. თორაძე** — კომპოზიტორი, **დ. ზ. რომელაშვილი** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, **ე. ე. ბურჭულაძე** — ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, **ა. თ. კარტოზია** — საქართველოს ქვანახშირის კომბინატის უფროსი, **გ. ნ. ჯიბლაძე** — საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

ამით კამათი დამთავრდა.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობა საანგარიშო პერიოდში ცნობილ იქნას დამაკმაყოფილებლად.

შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა სარევიზიო კომისიის მოხსენება.

18 თებერვალს **გაიმართა** საქართველოს კომუნისტური პარტიის **XVI** ყრილობის მეხუთე სხდომა.

ყრილობამ აირჩია საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს კომუნისტური პარტიის სარევიზიო კომისია.

შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლუცია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

ყრილობის დღის წესრიგი ამოწურულია. ამხ. **ვ. პ. მჟავანაძე** საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობას დახურულად აცხადებს.

დელეგატები ფეხზე მდგომნი მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს".

## საინფორმაციო ცნობა

### საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის **XVI** ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხანაგი **ვ. პ. მჟავანაძე.**

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად არჩეულია ამხანაგი **მ. პ. გიორგაძე.**

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად არჩეულია ამხ. **დ. ვ. მჭედლიშვილი.**

პლენუმმა აირჩია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები **ვ. პ. მჟავანაძე, მ. პ. გიორგაძე, დ. ვ. მჭედლიშვილი, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, ა. ი. ანტონოვი, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, მ. ი. კუჭავა, ო. დ. გოცირიძე, ა. ლ. გუნია.**

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან ამხანაგები **ე. ა. სეხნიაშვილი, თ. ბ. ჯანელიძე.**

გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის სარევიზიო კომისიის პირველი სხდომა, რომელზეც სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. **გ. დ. ჟორჟიკაშვილი.**

## საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა

### საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები

| | | |
|---|---|---|
| ი. ბ. აბაშიძე | ზ. ნ. კეცხოველი | ლ. მ. უკლება |
| გ. ე. აბესაძე | ზ. ვ. კიკნაძე | პ. გ. ქემოკლიძე |
| გ. ა. ალავიძე | შ. თ. კოხრეიძე | თ. ნ. ქვლივიძე |
| ს. ს. ალექსანდროვი | ი. დ. კოჭლამაზაშვილი | მ. ყ. ყულიევი |
| ა. ი. ანტონოვი | ი. ი. კუდუხოვი | ი. პ. ყუჯიაშვილი |
| მ. ი. ანტონოვი | მ. ი. კუჭავა | გ. ი. შარაშიძე |
| ს. ა. ბანიხი | ა. მ. ლაბახუა | ა. ს. შენგელია |
| პ. ე. ბაქრაძე | თ. ვ. ლაშქარაშვილი | შ. ს. შეყლაშვილი |
| ა. ს. ბექაური | მ. მ. ლელაშვილი | შ. ი. ჩილაჩავა |
| ა. ი. ბონდარევი | დ. გ. მამაცაშვილი | მ. გ. ჩიქოვანი |
| ბ. ს. ბუკია | დ. მ. მამულაძე | ე. დ. ჩოფიკაშვილი |
| ნ. ვ. გაბუნია | მ. კ. მაღრაძე | მ. დ. ჩუბინიძე |
| გ. ა. გეგეშიძე | მ. ა. მეგრელიშვილი | ს. კ. ჩხარტიშვილი |
| ა. ა. გიგოშვილი | ვ. ი. მელქაძე | ბ. ა. ჩხეიძე |
| პ. გ. გილაშვილი | ა. ი. მიგრიაული | მ. ფ. ჩხეიძე |
| მ. პ. გიორგაძე | ვ. პ. მჟავანაძე | ი. ი. ჩხიკვიშვილი |
| ნ. ა. გიორგაძე | ნ. ი. მუსხელიშვილი | ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი |
| ნ. გ. გომელაური | დ. ვ. მჭედლიშვილი | კ. ს. ციმაკურიძე |
| ო. დ. გოცირიძე | ნ. ლ. ოხინი | შ. ი. ჭანუყვაძე |
| ა. ლ. გუნია | ი. გ. რთველიაშვილი | ნ. ე. ჭახრაკია |
| გ. ნ. ზამბახიძე | დ. ზ. რომელაშვილი | დ. ა. ჭიჭინაძე |
| გ. დ. თავამაიშვილი | გ. გ. სანაკოევი | ი. რ. ხვედელიანი |
| გ. გ. თვალჭრელიძე | გ. ს. სეხნიაშვილი | გ. ა. ჯაბუა |
| მ. ე. თოფურიძე | ე. ა. სეხნიაშვილი | გ. დ. ჯავახიშვილი |
| ა. დ. თხილაიშვილი | ე. პ. ტაკიძე | თ. ბ. ჯანელიძე |
| ა. ნ. ინაური | ა. ვ. ტიმოფეევა | გ. ნ. ჯიბლაძე |
| ა. თ. კარტოზია | | |

### საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები

| | | |
|---|---|---|
| გ. [illegible] ბერძენი | ი. ი. კავილაძე | ზ. ნ. პოლოსიანი |
| ზ. მ. ბიძინაშვილი | შ. ს. კახიძე | ს. ტ. რიგვავა |
| ე. ე. ბურჭულაძე | გ. ი. კეჩხუაშვილი | ს. ს. როსტიაშვილი |
| მ. ი. ბურჭულაძე | ვ. ს. კვარაცხელია | ზ. ს. უზუნაშვილი |
| კ. ლ. გურგენიძე | ნ. გ. ლაზარაშვილი | ა. ვ. უთიაშვილი |
| ა. მ. დავითაშვილი | ი. ნ. ლალიძე | ვ. გ. ქერქაძე |
| მ. დ. დავითაშვილი | კ. მ. ლომაძე | ა. მ. ქონიაძე |
| თ. ნ. დავითაშვილი | მ. კ. ლომიძე | კ. ნ. შავიშვილი |
| ი. ს. დოლიძე | ა. ე. მელაძე | ვ. დ. ჩალაძე |
| მ. ა. ზაპევალინი | ვ. ვ. მირიანაშვილი | დ. ი. ჩხიკვიშვილი |
| მ. ვ. ზელენკოვი | ა. ს. ნუჟნიაკოვი | პ. გ. ცაგარეიშვილი |
| ე. ზ. თავაძე | ვ. ა. პაატაშვილი | მ. დ. ციხისთავი |
| ი. კ. თარბა | ვ. ა. პეტრიაშვილი | ვ. ლ. ჭანკოტაძე |

## საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს კომუნისტური პარტიის სარევიზიო კომისიის შემადგენლობა

| | | |
|---|---|---|
| ვ. კ. აბესაძე | ა. დ. გიორგაძე | გ. დ. ჟორჟიკაშვილი |
| ა. ა. ავაზაშვილი | გ. ი. ელისაბედაშვილი | დ. ხ. საბაშვილი |
| ბ. ვ. აკიმენკო | შ. ლ. ვასაძე | ნ. ი. ფანცულაია |
| პ. ნ. ბაქრაძე | კ. მ. თარგამაძე | შ. გ. ცომაია |
| ა. მ. ბერიძე | ზ. ა. კვაჭაძე | კ. გ. ჭინჭარაული |
| ა. ა. ბლრციანი | ს. ა. ლარცულიანი | ა. თ. ხელიძე |
| დ. ვ. გელაშვილი | ა. გ. ნუცუბიძე | დ. ა. ხვარცკია |

# მ ი მ ა რ თ ვ ა

## საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტისა

### ყველა ახალგაზრდა ამომრჩევლისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

1954 წლის 14 მარტს ახალგაზრდა ამომრჩევლები ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მშრომელთან ერთად აირჩევენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში, ისე როგორც წარსულ საარჩევნო კამპანიებში, საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი გამოდის კომუნისტურ პარტიასთან მჭიდრო კავშირით, კომუნისტებისა და უპარტიოების ერთიანი ბლოკით.

საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მჭიდროდ რაზმავს ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობის მილიონიან მასებს პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის განსახორციელებლად, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი სამშობლოს ძლიერების ზრდას და სსრ კავშირის ყველა ხალხის აყვავებას.

ახალგაზრდა ამომრჩევლებო!

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი მოგიწოდებთ ხმა მისცეთ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს და ამით გამოხატოთ, რომ მზად ხართ კვლავაც მთელი ძალღონით დაეხმაროთ კომუნისტურ პარტიას კომუნიზმის მშენებლობაში, განამტკიცოთ საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, დაიცვათ და განამტკიცოთ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა.

ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უმაღლესი კანონია. პარტიამ უზრუნველყო სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის აღმავლობა. მიაღწია საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის სერიოზულ ამაღლებას.

ემყარებიან რა მძიმე ინდუსტრიის დარგში მიღწეულ წარმატებებს, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ სოფლის მეურნეობისა და სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობის პროგრამას, რომელიც დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომი გადაწყვეტილებებით.

კომკავშირელებმა და მთელმა საბჭოთა ახალგაზრდობამ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობისა და სახალხო მოხმარების საგნების წარმოების შემდგომი აღმავლობა, მიიღეს როგორც მთელი თავიანთი მუშაობის საბრძოლო პროგრამა და აქტიურად ჩაებნენ ამ საარსებო ამოცანის განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

სამრეწველო საწარმოების კომკავშირელები და ახალგაზრდობა სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას საწარმოო ფართობებისა და მოწყობილობის უკეთ გამოყენებისათვის, პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამით ისინი აქტიურად ეხმარებიან სოციალისტური მრეწველობის რეზერვების გამოვლინებას, ჩვენი ინდუსტრიის შემდგომი ზრდისათვის მათ გამოყენებას და სახალხო მოხმარების საგნების გამოშვების გადიდებას.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირელები და ახალგაზრდობა ებმებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გაჩაღდა მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირების მოწოდებით. სოფლის ახალგაზრდობის ენერგია და შემოქმედებითი ინიციატივა ხმარდება საზოგადოებრივი მეცხოველეობის რაც შეიძლება მალე აღმავლობას, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდებას, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვან ზრდას, ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა რეზერვის გამოყენებას.

პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის აქტიური ბრძოლით საბჭოთა ახალგაზრდობა ხელს შეუწყობს სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის აყვავებას, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებასა და კულტურული დონის ამაღლებას.

ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო დაუცხრომლად ზრუნავს ახალგაზრდა თაობისათვის. საბჭოთა ახალგაზრდობა სამუდამოდ განთავისუფლებულია ექსპლოატაციისა და უმუშევრობისაგან, უუფლებობისა და ჩაგვრისაგან, რომლებიც კაპიტალისტური ქვეყნების მოზარდი თაობის ხვედრია. საბჭოების ქვეყნის ახალგაზრდობას შექმნილი აქვს თავისუფალი შემოქმედებითი შრომის, თავისი უნარისა და ნიჭის განვითარების ყველა შესაძლებლობა. საბჭოთა სახელმწიფომ ახალგაზრდობისათვის ხელმისაწვდომი გახადა მეცნიერებისა და კულტურის ყველა საგანძური. ჩვენი ქვეყნის სკოლებში განათლებას იღებს ათეულ მილიონობით ახალგაზრდა. უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სწავლობს 3 მილიონზე მეტი სტუდენტი და მოსწავლე. გასულ 1953 წელს სახელოსნო, რკინიგზის სამთო-სამრეწველო სკოლები და სასწავლებლები, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები დაამთავრა 320 ათასმა ქალიშვილმა და ვაჟმა. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ახალგაზრდობის ყოველმხრივი კულტურული და ფიზიკური განვითარების პირობები. მის განკარგულებაშია 380 ათასი ბიბლიოთეკა, 123 ათასი საკლუბო დაწესებულება, ათასობით სტადიონი, ტანვარჯიშის დარბაზი, სათხილამურო ბაზა, სასპორტო მოედანი, სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი.

მთელ ხალხთან ერთად საბჭოთა ახალგაზრდობა მონაწილეობს სახელმწიფოს მართვაში. 130 ათასზე მეტი ახალგაზრდა საბჭოთა მოქალაქე არჩეულია მშრომელთა დეპუტატების საბჭოებში. საბჭოთა კონსტიტუცია ახალგაზრდა მოქალაქეებს ანიჭებს უფლებას აირჩიონ და არჩეულ იქნან სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში — სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში. ჩვენს ქვეყანაში ყოველმხრივ წახალისებულია ახალგაზრდობიდან უნარიანი ნიჭიერი ადამიანების დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე სახელმწიფო ორგანოებში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში.

კომკავშირელებო, ქალიშვილებო და ვაჟებო!

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით ჩვენ სავსებით დავუჭერთ მხარს კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, რომლის მიზანია საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება, ჩვენი ახალგაზრდობის მზარდ მოთხოვნილებათა ყოველმხრივ დაკმაყოფილება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნები მოეწყობა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის შემდგომი განმტკიცების ვითარებაში, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, იმ აგრესიული იმპერიალისტური ძალების წინააღმდეგ საბჭოთა სახელმწიფოს აქტიური ბრძოლის ვითარებაში, რომლებიც ცდილობენ გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომი. ახორციელებენ რა კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ გეგმებს, საბჭოთა ხალხი, ჩვენი მშობლიური მთავრობა მტკიცედ და თანმიმდევრულად იცავენ მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს, დაუცხრომლად ზრუნავენ ჩვენი სამშობლოს უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

ახალგაზრდა ამომრჩევლებო!

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით ჩვენ ერთსულოვნად მხურვალედ დავუჭერთ მხარს და მოვიწონებთ საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, დავადასტურებთ ჩვენს შეუდრეკელ მისწრაფებას—კვლავაც დაუცხრომლად განვამტკიცოთ ჩვენი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება.

კომუნისტური პარტია ჩვენი ქვეყნის ქალიშვილებსა და ვაჟებს ზრდის მგზნებარე საბჭოთა პატრიოტებად, მამაც, მედგარ, კომუნიზმის დიადი საქმის უძლეველობაში დარწმუნებულ ადამიანებად, რომელთაც უნარი შესწევთ გადალახონ ყოველგვარი სიძნელე და დაბრკოლება ამ დიადი მიზნის გზაზე.

საბჭოთა ახალგაზრდობა გაბედულად შეჰყურებს მომავალს. ჩვენი ქვეყანა აღსავსეა მძლავრი შემოქმედებითი ძალებით და მტკიცე რწმენით მიდის წინ კომუნიზმის გზით. კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა საწინდარია ხალხის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მჭიდრო, ურღვევი ერთიანობა.

**ახალგაზრდა ამომრჩევლებო! ყველანი არჩევნებზე!**

**მივცეთ ჩვენი ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს!**

**გაუმარჯოს ჩვენს დიად საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!**

**გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა ახალგაზრდობას!**

**ლენინ—სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!**

**საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი**

## ს ა ზ ე ი მ ო ს ხ დ ო მ ა

1954 წლის 19 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, სააქტო დარბაზში შედგა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და მუშა-მოსამსახურეთა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 33 წლისთავისა და საბჭოთა არმიის შექმნის 36 წლისთავის აღსანიშნავად.

სხდომა გახსნა უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ალექსიშვილმა.

მოხსენებით გამოვიდა ისტორიის ფაკულტეტის დეკანი დოც. აკ. სურგულაძე.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

## ეთნოგრაფიის კაბინეტში



ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, ეთნოგრაფიის კაბინეტში, საბჭოთა ხალხის დიდი დღესასწაულის — უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია როგორც ისტორიული, ისე არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ხასიათის მასალები. დიდ ყურადღებას იპყრობს ილუსტრირებული მასალები, დაწყებული კიევის რუსეთის ისტორიიდან ვიდრე დღემდე. მაგალითად: ი. მ. ლებედევის ნახატი „პოლონელი პანების გაქცევა", რომელზედაც შესანიშნავად არის გადმოცემული უკრაინელი ხალხის ბრძოლა პოლონელი პანების წინააღმდეგ 1648 წელს, როდესაც უკრაინელი დიდი სარდლის — ბოგდან ხმელნიცკისა და მაქსიმე კრივონოსის ხელმძღვანელობით პოლიაკებთან სასტიკად იქნენ დამარცხებული პოლონელი პანები. საინტერესოა აგრეთვე მ. ი. ხმელკოს ნახატი — „სამუდამოდ მოსკოვთან, სამუდამოდ რუს ხალხთან". აქ შესანიშნავადაა გამოხატული უკრაინელი ხალხის აღფრთოვანება და სიხარული მათი რუსეთთან შეერთების გამო. 1654 წელი სახელოვანი უკრაინელი ხალხის ბედნიერი და დაუვიწყარი თარიღია.

გამოფენაზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი მარქსიზმის კლასიკოსების შრომებს ნაციონალური საკითხის შესახებ და სხვ.

გამოფენას უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის მრავალი სტუდენტი ნახულობს.

**სურათზე:** უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები ათვალიერებენ უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენას.

ტექსტი და ფოტო უფრ. ლაბორანტის **ბაკურ ბაქრაძისა**

## დამწყები მხატვრების ნამუშევართა გამოფენა

დიდი ხანი არაა, რაც ჩვენს უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ხატვისა და ფერწერის შემსწავლელი წრე. მოკლე დროში წრის წევრები პირველდაწყებითი ხატვისათვის გათვალისწინებული სამუშაო გეგმის მიხედვით საკმაოდ დაეუფლენ ხატვის ტექნიკას. აღნიშნული გეგმის მიხედვით მათთან დამუშავებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: სახატავი მასალები და მისი გამოყენება; ხატვის ძირითადი საშუალებანი, წინასწარი ვარჯიში თვალთხედვისა და ხელის მოძრაობის განვითარებისათვის; ვარჯიში სხვადასხვა გამოსახულებებზე პერსპექტივის, სიმეტრიის, კომპოზიციის, ფორმისა და შინაარსის, სინათლისა და ჩრდილის, რეფლექსისა და საგნის მხატვრული აღქმის საკითხთან დაკავშირებით; მონახაზები და შიშველი ნატურა (თაბაშირი); ეტიუდები და ჰაეროვანი პერსპექტივა; ხატვა მეხსიერებით; ცოცხალი ნატურა, ადამიანის სხეული და მისი პლასტიკური ანატომია, ადამიანის ცალკეულ ნაწილებზე მუშაობა, პორტრეტი.

ამის შემდეგ, წრემ სტუდენტთა პროფკომისა და ალკკ კომიტეტის დახმარებით მოაწყო პირველდაწყებითი ნამუშევრების გამოფენა. წრის 18 წევრიდან გამოფენაზე მონაწილეობა მიიღო 16 ახალგაზრდა დამწყებმა მხატვარმა.

გამოფენაზე მონაწილე დამწყებ მხატვართაგან თავისი ნაყოფიერი მუშაობით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს: ა. დუმბაძე, ი. სტომატელი, რ. ესაძე, ი. ბადინოვი, ი. სამსონაძე და ვ. ჩხარტიშვილი. ა. დუმბაძე შესანიშნავად გრძნობს საგნის ფორმას, მას უკვე საკმაოდ დასრულებული გემოვნება, აქვს და კარგი მხატვრული აღქმის უნარიც გააჩნია. ყურადღებას იპყრობს მისი ნატურ-მორტები, მოხუცი ქალის პორტრეტი და სხვ. ი. სტომატელის შემოქმედებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ხატვის კულტურა, დაკვირვების უნარი, სისადავე, შუქ-ჩრდილების რიტმი. ასევე ითქმის ბადინოვზე და ი. სამსონაძეზე, რომლის ბადინოვი უფრო აჩქარებულია, რაც საკმაო ზიანს აყენებს მისი ნამუშევრების სრულყოფას. გამოფენაზე მრავალმხრივ საყურადღებო ნამუშევრები წარმოადგინა რ. ესაძემ. მათში კარგად შესრულებული გრაფიკული ნატურ-მორტისა და ეტიუდის გვერდით ჩვენს ყურადღებას იპყრობს ნიჭიერად შესრულებული კარიკატურები. რ. ესაძე შემოქმედებითი ფანტაზიის, მახვილი სატირის განზოგადების თავისებური ხერხების გამოყენების საშუალებით შესანიშნავად ხატავს ბურჟუაზიული სამყაროს სიმახინჯეს.

აღსანიშნავია დამწყები მხატვრის ვ. ჩხარტიშვილის გრაფიკული ნამუშევრები. გამოფენაში მონაწილეთა შორის გრაფიკის დარგში ნიჭი გამოიჩინეს ისეთმა დამწყებმა მხატვრებმა, როგორიც არიან: ლ. ზაუტაშვილი, დ. ყანჩაველი, ნ. ლაშხი, რ. სხირტლაძე და სხვ. გამოფენამ ხატვის ნიჭით დაჯილდოებული რამდენიმე ახალგაზრდა გამოავლინა.

შესაძლებელი იყო მეტი ჩაბმულიყო ჩვენს მუშაობაში, მეტიც დაგვეინტერესებინა ამ საქმით, რომ წრე თავიდანვე დაზღვეული ყოფილიყო ყოველგვარი ხელისშემშლელი პირობებისაგან. საქმე იმაშია, რომ წრეს ჯერაც არ გააჩნია ერთი გარკვეული კუთხე, სადაც წრის წევრებს თავისუფლად შეეძლებათ მეცადინეობა და მუშაობა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წრეში არასაკმარისია სახატავი მასალები. ახლა, როცა მუშაობის მეორე ეტაპზე გადივედით, ფერწერის დაზგების, ფუნჯების, საღებავებისა და სხვა იარაღების უქონლობის გამო თითქმის უკვე მოუხერხებელი ხდება მუშაობის გაგრძელება.

ამ ხელისშემშლელ გარემოებათა გამოსწორება დიდად დაგვეხმარება მუშაობის წარმატებით გაგრძელებაში.

**გ. ბარამიძე,**
ხატვისა და ფერწერის შემსწავლელი წრის ხელმძღვანელი.

## საბჭოთა უკრაინაში

### საგამომცემლო მუშაობა უკრაინაში

საბჭოთა ხელისუფლების წლებში უკრაინაში საგამომცემლო მუშაობა ფართოდ გაიშალა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მხოლოდ ერთი—1952 წლის განმავლობაში უკრაინის გამომცემლობებმა გამოუშვეს 3719 სახელწოდების წიგნი და ბროშურა — 69 263 ათასიანი საერთო ტირაჟით. უკრაინაში 8 რესპუბლიკური, 5 საოლქო და 19 საგაზეთო-საჟურნალო გამომცემლობაა.

უკრაინაში გამოდის 1179 სახელწოდების გაზეთი, მათ რიცხვში 12—რესპუბლიკური.

ამას გარდა გამოდის ათობით ჟურნალი.

### უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლისთავთან დაკავშირებით

უკრაინის სსრ პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ უკრაინულ ენაზე გამოსცა წიგნები, რომელთა სატიტულო ფურცლებზე წერია: „უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წელი". ეს გამოცემები მიძღვნილია დიდი ისტორიული მოვლენისადმი, უკრაინელი და რუსი ხალხის, სსრ კავშირის ყველა ხალხების დიდი ნაციონალური ზეიმისადმი.

დიდი მოთხოვნაა მაღაზიებში და კიოსკებში ფ. შევჩენკოს ბროშურაზე „უკრაინელი და რუსი ხალხების საუკუნოებრივი მეგობრობის ისტორიული მნიშვნელობა", ვ. გოლობუცკოვის ბროშურაზე „ბოგდან ხმელნიცკი—უკრაინელი ხალხის დიდი შვილი" და სხვა, რომელთა საერთო ტირაჟი 450 ათასს უდრის.

მზად არის გამოსაცემად ი. სლინკოს წიგნი—„სსრ კავშირის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობა დიდი სამამულო ომის წლებში".

მზადდება ილუსტრირებული გამოცემა „კიევი — საბჭოთა უკრაინის დედაქალაქი".

ამ დიადი თარიღისადმი მიძღვნილ წიგნებს სცემენ რესპუბლიკის გამომცემლობები — „უკრაინის სსრ სახელმწიფო გამომცემლობა", „საბჭოთა მწერალი", „ხელოვნება", „ახალგაზრდობა" და სხვა.

## კურსის კომკავშირულ კრებაზე

16 თებერვალს შედგა ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილების II კურსის ალკკ ორგანიზაციის კრება, რომელმაც მოისმინა ფაკულტეტის დეკანის მოადგილის, ამხ. გ. გოლეთიანის მოხსენება მიმდინარე სასწავლო წლის I სემესტრის შედეგების შესახებ. საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა თ. მრევლიშვილმა, ღ. მგელაძემ, ლ. გეგეშიძემ, ნ. მათიაშვილმა, ვ. ოსტროვსკაიამ, ნ. მაისურაძემ და სხვებმა.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ კურსზე საგრძნობლად მოიკოჭლებს დისციპლინა და აკადემიური მოსწრება. სისტემატურად არღვევენ დისციპლინას და ცუდად მეცადინეობენ სტუდენტები: ა. აირაპეტოვი, ვ. ელიოზაშვილი, ი. გოგოლაძე, თ. მეტრეველი, ლ. გალპერინა, ლ. ჩაჩიბაია, მოშიაშვილი, ლ. ტელუში და სხვ.

კრება ვერ დააკმაყოფილა კურსის ალკკ ორგანიზაციის მდივნის ამხ. ნ. მაისურაძის გამოსვლამ, რომელმაც განაცხადა, რომ კურსის ბიურო ვერ შეძლებს მდგომარეობის გამოსწორებას.

ფაკულტეტის დეკანატმა და პარტიულმა ორგანიზაციამ დროზე ვერ მიაქციეს ყურადღება შექმნილ მდგომარეობას და არ მიიღეს საჭირო ზომები ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. კურსზე ცუდადაა დაყენებული პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა.

კრებამ მიიღო დადგენილება ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

**ბ. ბახტაძე**

## მეგობრული მიმოწერა

მეგობრობა—ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს ძლევამოსილების ერთ-ერთი წყარო. ჩვენი დიდი ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა საბჭოთა ხალხების მეგობრობის ცხოველმყოფელობა და სიდიადე. იგი გამბედაობას მატებს საბჭოთა მეომარს, შემოქმედებითი შრომის უნარს უძლიერებს მეცნიერს, წარმატებით შრომისაკენ მოუწოდებს მუშასა თუ კოლმეურნეს, მეცნიერებათა ღრმად დაუფლებაში ეხმარება მოსწავლესა თუ სტუდენტს, გამარჯვების ურყევი რწმენით აღავზნებს საბჭოთა ადამიანის გულს.

რამდენიმე დღის წინათ ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა მეგობრული წერილი მიიღეს ქ. ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტებისაგან. მოკლე, მაგრამ მრავალმეტყველი ეს გულთბილი, მეგობრული ბარათი.

„...სურვილმა, გავეზიაროთ მუშაობის გამოცდილება და დავუკავშირდეთ,—იწერებიან ლიტველი სტუდენტები,—გადაგვაწყვეტინა მოგვეწერა თქვენთვის ეს წერილი..."

ბევრი რამ აინტერესებთ მოძმე რესპუბლიკის სტუდენტებს ჩვენი უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა ცხოვრების, შრომისა და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. მათ სურთ იცოდნენ, როგორც ჩვენი უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა წვლილი საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის საქმეში, როგორია ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა მეცნიერული მუშაობის თემატიკა, სად და როგორ გადიან ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები სასწავლო და სამეცნიერო პრაქტიკას და სხვ.

წერილის დასასრულს მოძმე ლიტველი სტუდენტები გვთხოვენ ხშირად ვწეროთ ერთმანეთს ჩვენი მუშაობისა და წარმატებების შესახებ, უფრო დავუახლოვდეთ ერთმანეთს.

უცნობ, მაგრამ ჩვენთვის ახლობელ სტუდენტთა ამ გულწრფელმა წერილმა დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენი უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა შორის. მათაც არ დააყოვნებიათ პასუხი. ჩვენი სტუდენტები თავიანთ წერილში უამბობენ ვილნიუსელებს თავიანთი მუშაობის შესახებ, კერძოდ, ბიოლოგიის სამეცნიერო წრის მუშაობის შესახებ.

—ჩვენ, სწერენ ჩვენი სტუდენტები ვილნიუსელ მეგობრებს,—ზოოლოგიისა და ბოტანიკის წრეები ცალ-ცალკე არა გვაქვს. სტუდენტები, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა სპეციალობაში, გაერთიანებული არიან ერთ სამეცნიერო წრეში. წრის საქმეებს განაგებს ხუთი წევრისაგან შემდგარი სამეცნიერო საბჭო. თვეში ორჯერ წრის სხდომაზე სტუდენტები ისმენენ როგორც კვლევითი, ისე რეფერატული ხასიათის მოხსენებებს.

წერილის შემდეგ ნაწილში ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები ვილნიუსელ სტუდენტებს მათი სამეცნიერო საზოგადოების მუშაობის სტილისა და მეთოდების შესახებ ესაუბრებიან.

—უკვე ხუთი წელია,—წერენ ისინი,—რაც ჩვენი სამეცნიერო წრე ატარებს სამგორის პრობლემისადმი მიძღვნილ ტრადიციულ კონფერენციებს.

სამგორი, ადრე გაუდაბნოებული უნაყოფო სივრცე, რომელიც მდებარეობს თბილისის მახლობლად, ახლა შეყვანილია დიდ სარწყავ სისტემაში. ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები სწავლობენ სამგორის ფლორასა და ფაუნას. ამ საქმეში მათ მიერ ცოტა როდია გაკეთებული...

1954 წლის მარტში ჩატარდება სტუდენტთა XVI საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია. გულმოდგინედ და მეუპოვრად ემზადებიან ჩვენი სტუდენტები ამ კონფერენციისათვის..."

ორი უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის ასეთი წერილობითი კავშირის დამყარება სასარგებლო და მისასალმებელი წამოწყებაა.

საქმიანი, მეგობრული მიმოწერა დაეხმარება მოძმე ლიტვის სსრ და საქართველოს სსრ უნივერსიტეტების სტუდენტებს სწავლასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გამოცდილების ურთიერთ გაზიარებაში; ხელს შეუწყობს ლიტველი და ქართველი ხალხის მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებას, — საბჭოთა ხალხის კეთილშობილური საერთო მიზნის — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიად საქმეს.

**აზა სოფრომაძე**



ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამგეობის წევრები (მარცხნიდან მარჯვნივ) — ნ. ფარულავა, გ. ჩიტორელიძე, მ. გვრიტიშვილი, ი. ქორქია (გამგეობის თავმჯდომარე), რ. მიქელაძე, გ. კვინიხიძე — ადგენენ ვილნიუსელი მეგობრებისადმი გასაგზავნი წერილის ტექსტს.

ფოტო ლ. ჭილაშვილისა

## ხალხი ისტორიის შემოქმედია

ყველა მარქსამდელი თეორია ისტორიის შესახებ იდეალისტური იყო. იდეალისტები, რომლებმაც ვერ ახსნეს საზოგადოების განვითარების კანონები, ქადაგებდნენ, რომ მსოფლიო ისტორია, საზოგადოების მთელი განვითარება „დიდი" პიროვნებების, გმირების მოღვაწეობის შედეგია, რომ თითქოს ისტორიას ქმნიან გამოჩენილი პირები და ხალხი ბრმა, პასიური მასაა, რომელიც ისტორიული შემოქმედების უნარს მოკლებულია. საზოგადოების განვითარების კანონები ვერ ახსნეს არა მარტო იდეალისტებმა, არამედ მარქსამდელმა მატერიალისტებმაც, რომლებიც ისტორიის გაგებაში იდეალისტებად დარჩნენ. ისტორიის მეცნიერულ-მატერიალისტურ გაგებამდე ყველაზე უფრო ახლო მივიდნენ დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები — გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი, რომლებიც მიუთითებდნენ ისტორიაში ხალხის მასების აქტიურ როლზე, მაგრამ ვერც მათ შეძლეს ხალხის, როგორც ისტორიის შემოქმედის, ნამდვილი ბუნების გაგება.

ძველი ფილოსოფია, რომელიც მოწყვეტილი იყო ხალხს, ცხოვრებას, წარმოადგენდა ერთეულთა, მცირეოდენ რჩეულთა — ხულის არისტოკრატიის კუთვნილებას. ამიტომ იყო, რომ მარქსიზმის წინამორბედ ფილოსოფიაში ბატონობდა სუბიექტივიზმი, პიროვნების კულტი, რომელსაც ქადაგებდნენ არა მარტო იდეალისტები, არამედ მატერიალიზმის ზოგიერთი წარმომადგენლებიც. მარქსიზმი წარმოადგენს ძველი ფილოსოფიის დაძლევას და ფილოსოფიის ისტორიის სრულიად ახალი პერიოდის დასაწყისს.

მარქსმა და ენგელსმა პირველად მატერიალიზმი ბუნების სფეროდან ისტორიის სფეროში გაავრცელეს და შექმნეს ისტორიული მატერიალიზმი — მეცნიერება საზოგადოების განვითარების კანონთა შესახებ, რომელიც ახალ ისტორიულ პირობებში შემდგომ განავითარეს ლენინმა და სტალინმა.

ისტორიულმა მატერიალიზმმა დაამტკიცა, რომ საზოგადოების განვითარების ნამდვილი მამოძრავებელი ძალაა ადამიანთა არსებობისათვის საჭირო მატერიალურ საშუალებათა წარმოება, რომ წარმოებითი ურთიერთობა, რაც განუყრელად დაკავშირებულია საწარმოო ძალებთან მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში, შეადგენს საზოგადოების განვითარების ეკონომიურ საფუძველს.

წინააღმდეგ სუბიექტურ-იდეალისტური შეხედულებისა, თითქოს მთელ საზოგადოებრივ ურთიერთობას ყოველთვის შეგნებულად ქმნიან ადამიანები, მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ არა ცალკეული დიდი პიროვნებანი, არამედ ხალხთა მასები, რომლებიც მთელ მატერიალურ დოვლათს ქმნიან, არიან ისტორიის ნამდვილი შემოქმედნი. საზოგადოების ისტორია არის, უწინარეს ყოვლისა, ისტორია წარმოების წესებისა, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთს ცვლიდნენ, მშრომელი მასების — მატერიალური დოვლათის მწარმოებლების ისტორია, ხალხთა ისტორია.

ამასთან დაკავშირებით, მარქსიზმ-ლენინიზმი არა თუ უარყოფს, არამედ აღიარებს დიდი პიროვნებების როლს ისტორიაში, დიდი პიროვნებებისა, რომლებიც პასუხობენ საზოგადოების განვითარების მოთხოვნილებებს, საზოგადოების ინტერესებს. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ პიროვნებას ისტორიაში პროგრესული როლის შესრულება მხოლოდ იმ პირობით შეუძლია, თუ იგი ემყარება საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების ცოდნას, სწორად ითვალისწინებს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების მოთხოვნილებებს და ეყრდნობა ხალხთა მასების ისტორიულ შემოქმედებას.

ლენინმა და სტალინმა განავითარეს რა მარქსისტული მეცნიერების პარტიულობის პრინციპი, ახსნეს სუბიექტური ფაქტორის როლი, მუშათა კლასისა და მისი პარტიის როლი ისტორიულ განვითარებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მთელ თავის მოღვაწეობაში ეყრდნობა აზრს იმის შესახებ, რომ მუშები და გლეხები, რომლებიც ცხოვრების ყველა სიკეთეს ქმნიან, ისტორიის ნამდვილი შემოქმედნი არიან, რომ „მხოლოდ ის გაიმარჯვებს და შეინარჩუნებს ხელისუფლებას, ვისაც რწმენა აქვს ხალხისა, ვინც ჩაეშვება ხალხის ცოცხალი შემოქმედების წყაროში" (ლენინი).

ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული პოლიტიკა, რომელიც ემყარება მასების შემოქმედებითს აქტივობას და სარგებლობს მთელი საბჭოთა საზოგადოების მხარდაჭერით. კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრუნავს მშრომელების მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის. საბჭოთა ადამიანის სიკეთისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა უმაღლესი კანონია ჩვენი პარტიისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მთელი თავისი ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ეყრდნობა ლენინის მიერ შემუშავებულ პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპებს და პარტიული ცხოვრების ნორმებს. პარტია მიგვითითებს, რომ მტკიცედ ვიცავდეთ პარტიული ხელმძღვანელობის უმაღლეს პრინციპს — ხელმძღვანელობის კოლექტიურობას. პარტია ემყარება იმას, რომ მხოლოდ კოლექტიური გამოცდილება, კოლექტიური სიბრძნე ცენტრალური კომიტეტისა უზრუნველყოფს სწორ ხელმძღვანელობას პარტიისა და ჩვენი ქვეყნისადმი.

ამ კოლექტიური ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მძლავრ საშუალებას არსებულ ნაკლოვანებათა და სიძნელეთა გადასალახავად წარმოადგენს კრიტიკა, და, განსაკუთრებით, ქვემოდან კრიტიკა. სწორედ კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლებით პარტია ავითარებს კომუნისტებისა და მშრომელთა მასების შემოქმედებითს აქტივობას; „რაც უფრო ფართოდ გაიშლება თვითკრიტიკა და ქვემოდან კრიტიკა — აღნიშნავდა გ. მ. მალენკოვი პარტიის XIX ყრილობაზე,— მით უფრო სრულად გამოვლინდება ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ძალები და ენერგია, მით უფრო გაძლიერდება და განმტკიცდება მასებში ის გრძნობა, რომ ისინი თავიანთი ქვეყნის ბატონ-პატრონები არიან". (გ. მ. მალენკოვი).

თანამედროვე პირობებში პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ბრძოლას იმისათვის, რომ პარტიის პროპაგანდისტული მუშაობის პრაქტიკაში აღმოიფხვრილი იქნას ისტორიაში პიროვნების როლის საკითხის მცდარი, არამარქსისტული გაშუქება, რაც გამოიხატება მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცხო თეორიის — პიროვნების კულტის იდეალისტური თეორიის პროპაგანდით. სწორედ პიროვნების კულტი ეწინააღმდეგება ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპს, ამცირებს პარტიისა და მისი ხელმძღვანელი ცენტრის როლს, ასუსტებს პარტიული მასებისა და საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს აქტივობას. პიროვნების კულტს საერთო არაფერი აქვს ხელმძღვანელი ორგანოებისა და ხელმძღვანელი მოღვაწეების წარმმართველი საქმიანობის მაღალი მნიშვნელობის მარქსისტულ-ლენინურ გაგებასთან.

დღეს იმპერიალისტურ სამყაროში ფართოდაა გავრცელებული ვოლუნტარიზმი და პიროვნების კულტი; გარდაუვალი დაღუპვისათვის განწირული რეაქციული ბურჟუაზია იმედს ამყარებს შემთხვევითობაზე, „ძლიერ პიროვნებაზე", რომელიც შეძლებს ისტორიის შეჩერებას. კომუნისტური პარტია გადაჭრით იბრძვის რა პიროვნების როლის შესახებ ამ მცდარი, არამარქსისტული თეორიის წინააღმდეგ, მთელ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ყოვლისმძლე, მსოფლიოს გარდამქმნელი რევოლუციური მოძღვრებით. მარქსმა, ენგელსმა, ლენინმა და სტალინმა თავიანთ მრავალრიცხოვან შრომებში გაანადგურეს ყოველგვარი სუბიექტურ-იდეალისტური რეაქციული თეორიები, რომლებიც უგულებელყოფენ მშრომელთა რევოლუციური მასების როლს და ქედს იხრიდნენ პიროვნების კულტის წინაშე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა საზოგადოების მაორგანიზებელი და მიმართველი ძალაა. მისი პოლიტიკა საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველია. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა საბჭოთა წყობილების სიმტკიცისა და ურყევობის, ჩვენი ხალხის ყველა წარმატების გადამწყვეტი პირობაა.

**ვ. კალანდარიშვილი**

## აკაკი გეწაძე

# ახალი ლექსები



ახალგაზრდა მწერალმა აკაკი გეწაძემ ახლახან გამოსცა თავისი ლექსების პირველი წიგნი — „ჩემი ასეული".
**სურათზე:** „ჩემი ასეულის" გარეკანი.

### სოფლის სიხარული

სწუხდა პაპა: ზოგმა კაცმა სოფელს თავი მოარიდა,
თუმცა სწავლა დაამთავრა, აღარ იძვრის ქალაქიდან.
ახლა პაპა უმზერს, ველად შავ ტალღებად დაწვა ხნული,
ტრაქტორს უზის ბიჭი გელა, თბილისიდან ჩამოსული.
ქალაქიდან ჩამოვიდნენ ამა სოფლის ძველი მკვიდრნი,
თვითონ გახდნენ პირნათელნი, გააშავეს პირი მინდვრის.
მიწა უქმად დაწოლილი ერთი გოჯიც არსად დარჩა
და ველებმა გადაიცვეს ჯეჯილების მწვანე ფარჩა.
პაპა ამბობს: თუ დაგვჭირდა, გავაცოცხლებთ რიყის ქვასაც.
ჩვენში მალე მოსავალი გაიზრდება ერთი ასად.
მჯერა ჩვენი მარჯვე ხალხის და პარტიის დიდი მიზნის,
მწამს, პარტიის დროშით ხელში მალე მოვა კომუნიზმი.
ერთი ნახეთ, რა ბიჭები დაუბრუნდნენ სოფელს ისევ,
მიწას მადლი მიემატა და შრომას კი სიხალისე.
რა სჯობია კომბაინის მწიფე პურის ზღვაში გუგუნს,
დილით მისი გუგუ-გუგუ გაალვიძებს ტყეში გუგულს...
განა მარტო შრომა ვიცით მხვნელებმაც და მთესველებმაც,
რა სჯობია მუხის ჩრდილში შრომის შემდეგ შესვენებას,
როცა მღერით მოდუღდუღებს ცაცხვის ღარზე წყარო ცივი
და იქვე დგას დიდი დოქით ცივი ღვინო დალოცვილი...
სადაც უნდა იყოს პაპა, გაიშლება სუფრა როცა,
წამსვე დგება ჭიქით ხელში და პარტიის სიბრძნეს ლოცავს.

### აქედან უკრაინამდე

აქედან უკრაინამდე
მთებია უზარმაზარი,
ზამთარში თოვლით მოსილი,
ზაფხულში მწვანე მაზარით.

აქედან უკრაინამდე
სუნთქვაა ერთი გულისა,
ამ მთებზე უფრო მაღალი
მთებია,—სიყვარულისა.

აქედან უკრაინამდე
ორი ზღვა არის ცისფერი,
ზღვა მარად დაუქანცავი
და დაუღლელი სიმღერით.

აქედან უკრაინამდე
ღელვაა ერთი გულისა.
ამ ზღვებზე დიდი ზღვებია,
ზღვებია—სიყვარულისა.

### მდინარე ძუძუს აწოვებს ყანას

ჰესიდან ქვებით მოჭედილ შარას
სოფლად მიჰყვება ნაძვის ბოძები.
კოლმეურნენი ვენახში ჩანან
თავებწაკრულნი ხელსახოცებით.

მწყემსი სალამურს აკვნესებს მინდვრად,
უსმენს ბოჩოლა, უსმენს სამყურა;
ებუღრავება ნიკორას შვინდა,
ველს თეთრი ღრუბლის ჩრდილი ახურავს.

ღობესთან შდგარი მაისის ვარდი
მგზავრებს ღიმილით გასცქერის გზაზე.
ფოსტალიონი „პობედით" დაქრის
და ყველგან, ყველგან არიგებს გაზეთს.

ნიავი ჯეჯილს უმღერის ნანას,
ყაყაჩო ცეკვავს ხელებგაშლილი.
მდინარე ძუძუს აწოვებს ყანას,
ყანაც იზრდება თოთო ბავშვივით.

## „ჩემი ასეულის" განხილვა

ამ დღეებში ფილოლოგიის ფაკულტეტის პარტბიუროს, ალკკ ბიუროსა და პროფბიუროს ინიციატივით მოეწყო ახალგაზრდა პოეტის აკაკი გეწაძის ლექსთა კრებულის „ჩემი ასეულის" განხილვა.

განხილვას მრავალი სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელი ესწრებოდა. მოხსენებითა და სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა დადებითად შეაფასეს ეს წიგნი, მიუთითეს ზოგიერთ ნაკლოვანებაზეც.

ბოლოს თავისი ახალი ლექსები წაიკითხა პოეტმა ა. გეწაძემ.



ფიზიკის ფაკულტეტის ლაბორატორიებსა და სახელოსნოებში დილიდან გვიან საღამომდე გაცხოველებული მუშაობაა. აქ უპირატესად სადიპლომო შრომებზე მომუშავე მეხუთეკურსელები ჰარბობენ. სადიპლომო შრომების თეორიულ ნაწილთან ერთად მომავალი ფიზიკოსები სახელოსნოებში ამზადებენ ხელსაწყოებს და იარაღებს, რომლითაც უზრუნველყოფენ თეორიული ჩანაფიქრების დემონსტრირებას.

სურათზე: ფიზიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტები გ. ვაჩიბერიძე და გ. გიგიაძე ამზადებენ ხელსაწყოებს.

## ჩვენ გვწერენ

### ერთი მოსაგვარებელი საკითხის გამო

ჩვენი უნივერსიტეტი ყოველდღიურად იღებს ათეულ ავტორეფერატს იმ დისერტაციებისა, რომელთა დაცვა განზრახულია სსრ კავშირის მრავალრიცხოვან უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში მეცნიერების კანდიდატისა თუ დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ზედმეტია იმის თქმა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დისერტაციების ავტორეფერატებს, როგორც საცნობარო—ბიბლიოგრაფიულ მასალას. მთავარი ის არის, რომ ჩვენს უნივერსიტეტში ამ ავტორეფერატების მიღების შემდეგ მათი სარგებლობადაცვის საქმეში არავითარი წესრიგი არ არის დამყარებული. ამის გამო დაინტერესებული პირი ვერ მოახერხებს ისარგებლოს ამ მასალით.

ჩვენი აზრით, საჭიროა უნივერსიტეტში შემოსული ყველა ავტორეფერატი გადაეცეს უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკას, სადაც იგი უნდა დამუშავდეს ისე, როგორც სხვა წიგნები, ამასთანავე უნდა დგებოდეს ცალკე კატალოგი, რაც დაინტერესებულ პირთ გაუადვილებს ამ ფონდით სარგებლობას. ავტორეფერატები უნდა ინახებოდეს მეცნიერ-მუშაკთა დარბაზში.

დოც. **დ. ყიფშიძე**

## „ჩემი ასეული"

„ჩემი ასეული", — ასე უწოდა ახალგაზრდა პოეტმა აკაკი გეწაძემ თავისი ლექსების პირველ წიგნს და ეს სათაური შემთხვევითი როდია. იგი განსაზღვრულია ამ წიგნში მოთავსებული ლექსების თემატიკით, მათი განწყობილებით, მხატვრული გააზრებით.

წიგნის ძირითად თემას, თუ შეიძლება ითქვას, — მის პროფილს კარგად განსაზღვრავს ლექსი, რომლის სათაურსაც ატარებს მთელი წიგნი. ამ ლექსში პოეტი იგონებს თავის თანამებრძოლებს, მისი ასეულის ჯარისკაცებს, ჩვენი დიდი სამშობლოს სულ სხვადასხვა კუთხისა და სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს, რომლებიც სხვადასხვაგვარი არიან ხასიათითაც, პროფესიითაც, მაგრამ შეკავშირებულან სამშობლოს დაცვის უწმინდესი გრძნობით: ახლა კი ყოფილი მებრძოლები მშვიდობიანი შრომის ფერხულში არიან ჩაბმული. მათი ხმა ისმის „ვოლგა-დონიდან და კასპიის გაღმა მხრიდან". საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომით შენდება კომუნიზმი ჩვენს ქვეყანაში, და პოეტი ამბობს: „ჩემი ასეულის ჯარისკაცებიც მოაბიჯებენ კომუნიზმთან ფეხშეწყობილი"-ო.

სწორედ ამ ადამიანებს, ბრძოლისა და შრომის გმირთ, უმღერის პოეტი თავის ლექსებში, გულწრფელად გვიხატავს მათ ფიქრებსა და ოცნებებს. სულ პატარა, სამტაეპიან ლექსში — „ბორცვი" თითქოს სტრიქონებს შუა გამოსჭვივის გმირი მეომრის დაღუპვით გამოწვეული მწარე გულისტკივილი, სამამულო ომის მრისხანე დღეებზე მოგვითხრობს „სტალინგრადელი ჭაბუკის ბალადა", გამარჯვების პარადს გვიხატავს „მაყრობა", სამშობლოში გამარჯვებით დაბრუნებული მებრძოლის სიხარულია გადმოცემული „ფარაჯიანის დაბრუნებაში".

სამამულო ომის თემაზე დაწერილ ლექსებს შორის ჩვენ განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ლექსი „იერიშის წინა ღამეს", რომელიც დიდი უშუალობით და განცდის სიწრფელით ხასიათდება. ამ ლექსში პოეტი, რომელიც შორს, ბუდაპეშტის მისადგომებთან, სანგარში წევს, თითქოს ვარსკვლავებს ესაუბრება, იგონებს თბილისს, დუნაის ზვირთებში ეხატება მოდუღდუნე მტკვარი, თვალწინ წარმოუდგება მშობლიური მხარე და უასკეცდება მისი სიყვარული,— და თუმცა ლექსში პირდაპირ არ არის ლაპარაკი სამშობლოს სიყვარულში სიცოცხლის უკვდავებაზე, ამგვარ გრძნობას აღგვიძრავენ მისი უკანასკნელი სტრიქონები:

„მე სიკვდილზე ფიქრიც არ მსურს,
ლაღ ვარსკვლავებს ვუმზერ,
და სამშობლოს სიყვარული
მახატია გულზე.
ჰე, ვარსკვლავნო, ჩემს თბილისზე
მომიყევით რამე,
სიცოცხლეზე საუბარში გავატაროთ
ღამე".

სამამულო ომის სურათების მოგონება ხშირად ასაზრდოებს პოეტის შთაგონებას სხვა თემებზე დაწერილ ლექსებშიაც. როცა პოეტის მიერ დახატულ მშვიდობიანი შრომის სურათში ამგვარი მოგონება იჩენს თავს, ამით ავტორი ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს, თუ რა მძიმე დანაკლისისა და უამრავი სისხლის ფასად მოიპოვა ჩვენმა ხალხმა მშვიდობა. მშვიდობის მტრებისადმი მრისხანე გაფრთხილებად ჟღერენ ლექსები: „ჩვენ ვიცით, რისთვის ვიცოცხლოთ ქვეყნად", „გახსენება", „იარაღი", და სხვ.

ლექსში „მონღოლები გორში" პოეტი იგონებს შორეულ წარსულს, როცა საქართველო აკლებული იყო მონღოლთა უსასტიკესი შემოსევებით. მონღოლთაგან გადათქერილი საქართველოს მთელი სურათია ჩახატული ასეთ სხარტ პოეტურ ჰიპერბოლაში:

„მაშინ მონღოლთა ვიწრო თვალებში
საქართველოს მზეც დაპატარავდა".

ახლა კი მონღოლები საქართველოში მოდიან როგორც მოყვრები, ისინი მოწიწებით დგანან ბელადის სახლთან და იმის სადიდებელს მღერიან, „ვინც სიყვარულის ხიდი ააგო მონღოლეთიდან საქართველომდე".

შედარებისათვის ასევე კარგადაა გამოყენებული ისტორიული წარსული ლექსში „ხალხის სახელით გაფრთხილებთ". პოეტის მიღწევად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ლექსები: „ბალადა ბელადის გორში ჩამოსვლაზე", „მწყემსი", „ქართველი პროფესორი" და სხვანი.

მაგრამ ამავე დროს შეუძლებელია პოეტს არ მივუთითოთ ზოგიერთ სუსტ ლექსზე, მისი ლექსების საერთო ნაკლოვანებებზე. სუსტია ლექსები „თბილისში ჩამოსულ ინგლისელ მოქალაქეს", „პუშკინის ჩამოსვლა საქართველოში". პოეტური სახეებით აზროვნების ნაცვლად ა. გეწაძე ზოგჯერ მშრალ რიტორიულობას მიმართავს, იმეორებს თავისთავს, დაუმუშავებელი, დაუხვეწელი ფრაზები და შედარებები გვხვდება პოეტის კარგ ლექსებშიაც კი. ზოგიერთი გაცვეთილი თუ უვარგისი ეპითეტი ან შედარება პოეტს ისე აქვს აკვიატებული, რომ ყოველ ნაბიჯზე იმეორებს: „მებრძოლმა გაშალა ამაყად მკერდი", „ბერლინში გავშალე მკერდი", „თვალები ეშხიან ღიმილით გაშლილი": ეს „ღიმილი" და „ეშხი" ა. გეწაძის ლექსებში უთვალავჯერ გვხვდება, თანაც გვხვდება უადგილოდ, უხერხულად: „მზის ეშხი", „სიტყვის ეშხი", ვარსკვლავებიან კალმახის ეშხი" და ა. შ. გაიხსენებს თუ არა სამამულო ომს, პოეტი შედარებისათვის რატომღაც მაინცდამაინც ნაღმებს მიმართავს. პოეტური საღებავების ასეთი ერთფეროვნება და აგრეთვე ერთნაირი გააზრება და გადაწყვეტა ზოგიერთი თემისა ბოლოს უკვე მოსაწყენი ხდება. ალბათ ამით აიხსნება, რომ ა. გეწაძის ლექსები ცალ-ცალკე უკეთეს შთაბეჭდილებას სტოვებენ, ვიდრე ერთად წაკითხვისას.

ყოველივე ეს ა. გეწაძის ლექსების სერიოზული ნაკლია და იგი პოეტმა ენერგიული მუშაობით უნდა დაძლიოს. მაგრამ, ეს ნაკლოვანებანი ა. გეწაძის ლექსების ღირსებებს ვერ ჩრდილავენ.

„ჩემი ასეული" გვიჩვენებს, რომ მისი ავტორის სახით ქართულ მწერლობას ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტური ძალა ემატება.

**ზურაბ ჭუმბურიძე**

### შეხვედრა დ. ლომთაძესთან

ამასწინათ ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტთა სამეცნიერო წრემ შეხვედრა მოუწყო გაზეთ „კომუნისტის" ძველ მუშაკს დ. ლომთაძეს, გაზეთში მოღვაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებით. დ. ლომთაძის მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების V კურსის სტუდენტმა დ. გველესიანმა. სიტყვებით გამოვიდნენ — ჟურნალისტიკის განყოფილების III კურსის სტუდენტი ზ. ბოლქვაძე და „კომუნისტის" თანამშრომელი ს. ხარიზიშვილი. დასასრულს დ. ლომთაძემ დამსწრეებს მადლობა გადაუხადა გულთბილი შეხვედრისათვის.

### კათედრის ღია სხდომაზე

ამასწინათ, აღმოსავლეთის ისტორიის კაბინეტში შედგა აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის ღია სხდომა, რომელზეც ასპირანტმა გ. ჰიპაშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე — „გრიბოედოვი როგორც დიპლომატიური მოღვაწე".

მოხსენებამ დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

კვირას, 28 თებერვალს, დღის 12 საათზე, სააქტო დარბაზში შედგება ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალკკ ორგანიზაციის აქტივის კრება.

**დღის წესრიგი:**

**1. 1953-54 სასწავლო წლის პირველი სემესტრის შედეგები** (მომხსენებელი — უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფ. ი. ვვერდწითელი).

**2. უნივერსიტეტის კომკავშირულ ორგანიზაციაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ** (მომხსენებელი — უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტის მდივნის მოადგილე ამხ. ვ. გელეიშვილი).

ალკკ კომიტეტი

რედაქტორი ის. ვეშაპიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1. ტელეფონი 3-26-66.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 1000. უე 02000.